ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი #1

ქ. ცაგერი 21 იანვარი, 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვასილ საღინაძე
ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი;
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: მარიკა კოპალიანი, ონისე ჩაკვეტაძე;
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები: გიორგი გუგავა, თამაზი ჭაბუკიანი, ზაზა ყურაშვილი, ელენე საღინაძე, ნოდარი საღინაძე,
ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილეები: გივი გოგებაშვილი, მამუკა მამარდაშვილი, ოთარი თვარაძე.

ფრაქცია ,,ხალხის ძალის" თავმჯდომარე: ლაშა ლეთოდიანი;
საკრებულოს წევრები: მურმანი თოთაძე, ჯონი ხალიანი, გორდა გვიშიანი, მარი ბურჯალიანი, ბერდია კვირიკაშვილი,
ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის" თავმჯდომარის მოადგილე: გოდერძი ახვლედიანი.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: ქეთევან კოპალიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი: თამთა ონიანი
საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნინო მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

სხდომის თავმჯდომარემ - ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ქეთევან კოპალიანმა. 2026 წლის ბიუჯეტში პირველი ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა განმარტებითი ბარათით:

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20245 წლის 29 დეკემბრის #25 დადგენილებით და განისაზღვრა 17361,5 ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში პირველის ცვლილება საფუძველია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის #102 განკარგულება. განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა არაუმეტეს 4389462 (ოთხიმილიონ სამასოთხმოცდაცხრაათასოთხასსამოცდაორი) ლარისა, რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში , ხოლო გადასახდელებში :

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა „ორგ. კოდი 02 01 01" – 3818361 ლარი**,(სოფელ ქვედა და ზედა ლუხვანოს რკ/ბ გზის საფარის მოწყობა, ეტაპი, ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლების მახაში-სანორჩის გზის რეაბილიტაცია, სოფ.უსახელოს შიდა სასოფლო გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობა, სოფ.ქვ.ცაგერში „ლაზარიანების უბანში" გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა, ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ დეხვირის გზის რეაბილიტაცია, სოფ.ქვ.ცაგერში ახალდასახლების უბანში გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობა, ლახანის შიდა სასოფლო გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობა, სოფელ ხოჯის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია,)

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები „ორგ. კოდი 02 05 01“- 571101 ლარი** (ქ.ცაგერის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია)

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილება საფუძველია საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის # 85 განკარგულება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 620 000 ლარი, (განკარგულება თან ახლავს) რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახება გრანტებში , ხოლო გადასახდელებში

- **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (ორგ.კოდი 0207)** – 620 000 ლარი.

ბიუჯეტის ცვლილების საფუძველია „ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის #2260-1 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა არა უმეტეს 372237(სამასსამოცდათორმეტიათასორასოცდაჩვიდმეტი) ლარისა (განკარგულება თან ახლავს),რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტებში , ხოლო გადასახდელებში

- **მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება („ორგ. კოდი 02 09“)** - 372237 ლარი(ორმოცდაორიათასოთხასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და 40თეთრი) ლარი - საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების თანხა.

  ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საფუძველია ასევე მუნიციპალიტეტისათვის მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფა. „საქართველოს 2026წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მ/წელს გრძელდება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსება. „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ“ უნდა უზრუნველყოს მისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან მუნიციპალიტეტებისათვის შესაბამისი თანხის გამოყოფა. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის #655 დადგენილებით დამტკიცდა 2026 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები. სსიპ ლ.საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2026 წლის 9 იანვრის # NCDC 1 26 00014321 წერილის შესაბამისად მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი განისაზღვრა 206,0ათ,ლარით. 2026 წლის ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 29დეკემბრის #25დადგენილებით ა(ა)იპ „ცაგერის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ სუბსიდია განისაზღვრა 220,7ათ,ლარით, მიმდინარე ცვლილებით სუბსიდია მცირდება14,7ათ,ლარით და განისაზღვრება 206,0ათ,ლარით. შესაბამისად მცირდება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი გრანტის ოდენობა და განისაზღვრა 206,0ათ,ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასევე ცვლილების საფუძველია 2026 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს მთავრობის ფონდებიდან გამოყოფილი ნაშთის ნაწილობრივი განაწილება. ნაშთი შეადგენს 2158494,6 ლარი. მიმდინარე ეტაპზე ვახდენთ ნაწილობრივ განაწილებას, კერძოდ, ვანაწილებთ 1839420,68 ლარს, რომელიც განპირობებულია მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად, კერძოდ ასანაზღაურებელია შესრულებული სამუშაოების ღირებულება და ხარისხის უზრუნველყოფის 2,5%.

1. 45236,02 ლარი - 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით სოფ.ქორენიშის გზის რეაბილიტაციისათვის (პირველი ეტაპი)გამოყოფილი თანხის ნაშთია

2. 1.00 ლარი - 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით სოფ.წიფერჩის სასაფლაოს მიმართულებით გზის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხის ნაშთია.

3. 0,74 ლარი - 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით სოფ.ჩხუტელში მაქსიმე აღმსარებლის ტაძრიდან სოფლის ცენტრალურ გზამდე ასფალტის საფარის მოწყობისათვის გამოყოფილი თანხის ნაშთია.
4. 2,45 ლარი - 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთია.(ორბელი-ლაცორიის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია)
5. 2976,94 ლარი - 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით სოფ.ორბელის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციიისათვის გამოყოფილი თანხის ნაშთია.
6. 7416,51 ლარი - 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით ქ.ცაგერში რუსთაველის ქუჩაზე ტურისტული ცენტრის ეზოს შემოღობვისა და კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხაა.
7. 84932,13 ლარი - 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთია.(ქულბაქის საბავშვო ბაღის მშენებლობა.)
8. 26009.8 ლარი - 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით ლასურიაში-დეხვირის გზის რეაბილიტაციისათვის(პირველი ეტაპი) გამოყოფილი თანხის ნაშთია.
9. 0,57 ლარი - 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთია.(სოფ.ქვედა ცაგერში სიბიკრის(გორისუბნის) და საკრებულოს შენობის ასასვლელი საავტომობილო გზა)
10. 0,82 ლარი - 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთია.(სოფ.ორბელში ფოსტის გზის რეაბილიტაცია).
11. 2.23 ლარი - 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთია.(სოფ.ტვიშის შიდა სასოფლო გზა)
12. 4441,93 ლარი - 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთია.(სოფ.ორბელის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია - მეორე ეტაპი)
13. 31867,82 ლარი - 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით ლასურიაში-დეხვირის გზის რეაბილიტაციისათვის(მეორე ეტაპი) გამოყოფილი თანხის ნაშთია.
14. 12220 ლარი - 2025 წლის 30 სექტემბრის #1604 განკარგულებით საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა პატრონობის სისტემის განვითარებისათვის გამოყოფილი თანხის ნაშთია
15. 346001,84 ლარი - 2025 წლის 30 სექტემბრის #1604-1 განკარგულებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყოფილი თანხის ნაშთია
16. 500 ლარი - 2025 წლის 28 მარტის #387 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთია სოფ.ალპანაში ცენტრალური გზიდან „შხუდალას „სალოცავის მიმართულებით გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და საექსპერტრო დასკვნის მომზადების შესყიდვა.
17. 4929 ლარი - 2025 წლის 28 მარტის #387 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთია სოფ.ქვ.ცაგერში ახალდასახლების უბანში გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და საექსპერტრო დასკვნის მომზადების შესყიდვა.

18. 21000 ლარი - 2025 წლის 28 მარტის #387 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთია სოფ.ლასხანაში შიდა სასოფლო გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და საექსპერტრო დასკვნის მომზადების შესყიდვა.
19. 41936,85 ლარი - 2025 წლის 31 ივლისის #1214 განკარგულებით საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2028-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2024 წელს განსაზღვრული რონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი კაპიტალური გრანტის ნაშთია.
20. 135646,63 ლარი - 2025 წლის 13 მაისის #783 განკარგულებით ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისაქთვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთვრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულების დანართით გათვალისწინებულ ზოგიერთ მუნიციპალიტეტს მიეცეს უფლება ამავე დანართით გათვალისწინებული პროექტ(ებ)ის განხორციელების მიზნით, ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე გადაცემული თანხ(ებ)ის ფარგლებში დარჩენილი ეკონომიები მიმართონ შესაბამის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტ(ებ)ის დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხაა.
21. 236719,92 ლარი - 2025 წლის 21 მარტის #517 განკარგულებით „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმრთველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების საფუძველზე და ,,საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 იანვრის N44 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ 2025 წლის 18 მარტს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად გამოყოფილი თანხის ნაშთია.
22. 19549,18 - 2025წლის 16 იანვრის #53 განკარგულებით გამოყოფილი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ნაშთია.
23. 47221,0 ლარი - 2025 წლის 30 ივლისის #302 განკარგულებით გამოყოფილი საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის თანხის ნაშთია.
24. 9830,3 ლარი - 2025 წლის 30 იანვრის #186 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთია სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით.
25. 48138,54 ლარი - 2025 წლის 30 იანვრის #1207 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთია ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობის ხელშესაწყობად.
26. 16 171,72 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით ლასურიაში - დეხვირის მიმართულებით გზის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი.

27. 11596,33 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ დეხვირის გზის რეაბილიტაცია.
28. 8671,02 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით მწვანე თეატრის რეაბილიტაციის სამუშაოები.

29. 32 457,04 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანაში წყალსადენის მოწყობის სამუშაოები.

30. 8483,87 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით სოფ. სურმუშის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის მე - 2 ეტაპი.
31. 15 915,66 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით სოფ. მახაშის სასოფლო გზის რეაბილიტაცია.
32. 43 876,13 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლების მახაში - სანორჩის გზის რეაბილიტაცია.
33. 31 063,78 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით სოფელ ლასურიაშის სასოფლო გზის რეაბილიტაციის II-ე ეტაპი.
34. 0,25 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით სოფ.ქვ. ცაგერში ე.წ ,,კულაშის'' უბანში და ჩაკვეტაძის ქუჩის შესახვევში გზის რეაბილიტაცია.
35. 108 526,89 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით სოფელ ორბელოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია.
36. 8 312,86 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით ქ. ცაგერის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია.
37. 5 001,81 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით სოფელ ალპანაში ცენტრალური გზიდან ,,შხუდალის'' სალოცავის მიმართულებით გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობა.
38. 2 568,41 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ. ჩხუტელში შიდა საუბნო გზის რკ/ ბეტონის საფარით მოწყობა.
39. 13 512,36 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით სოფ. ქვ. ცაგერში ,,ლაზარიანების უბანში'' გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობა.
40. 3 717,76 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით სოფელ ოყურეშის ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა.
41. 204,15 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით სოფ. ორხვის შიდა სასოფლო გზის ცალკეულ უბნებში რკ/ბეტონის საფასრის მოწყობა.
42. 17 564,30 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით სოფ. უსახელოს შიდა სასოფლო გზის რკ/ ბეტონის საფარი მოწყობა.
43. 7 764,41 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით სოფ. ლასხანის შიდა სასოფლო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა.
44. 83 022,55 ლარი - 2025 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით სოფ. ქვ. ცაგერის ,,ახალი დასახლების'' უბანში გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა.
45. 15,91 ლარი - 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებით სოფ. ჭალისთავში და ლუხვანოში ხელოვნურსაფარიანი სტადიონების მოწყობა,
46. 23 952,30 ლარი - 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებით სოფ.საირმეში საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობის პირველი ეტაპი,
47. 28 051,97 ლარი - 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებით სოფ.მახაშის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის ნაშთია.

48. 10 891,48 ლარი - 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებით სოფ.მახურა ისუნდრის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის ნაშთია.
49. 1.98 ლარი - 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებით სოფ.ორბელში „ლაშითავის უბანში“ რკ/ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოების ნაშთია.
50. 6 898.44 ლარი - 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებით ქვ.ცაგერში ჩამდინარე წყლის სისტემის(კანალიზაცია) და გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ნაშთია.
51. 0,39 ლარი - 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებით ქ.ცაგერში ძველი სასაფლაოს ღობის მოწყობის ნაშთია.
52. 41 921,25 ლარი - 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებით ზედა და ქვედა ლუხვანოს რკ/ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოების ნაშთია.
53. 0,42 ლარი - 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებით სოფ.სურმუშში შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მე-2 ეტაპის ნაშთია.
54. 268,25 ლარი - 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებით სოფ.ქვ.ცაგერში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობის სამუშაოების ნაშთია.
55. 6,12 ლარი - 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებით ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ნაშთია.
56. 14 233,06 ლარი - 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებით ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ აღვში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცისს სამუშაოების ნაშთია.
57. 10 960,23 ლარი - საქ. მთავრობის 2023 წლის 28დეკემბრის 2402 განკარგულების ნაშთია მწვანე თეატრის რეაბილიტაციის სამუშაოების
58. 4 181,48 ლარი - საქ. მთავრობის 2023 წლის 28დეკემბრის 2402 განკარგულების ნაშთია სოფ.ჩხუტელში კლდისძირის უბანში ე.წ“ლომის წყლის უბნიდან“ ფოჩხიძეების უბნის მიმართულებით რკ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების.
59. 3,54 ლარი - საქ. მთავრობის 2024წლის 19 აპრილის 550 განკარგულების ნაშთია ჩქუმ-ქულბაქის ცენტრალური გზის და სოფ.ჩქუმის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოების.
60. 3639,63 ლარი - საქ. მთავრობის 2024წლის 19 აპრილის 550 განკარგულების ნაშთია სოფ.ზოგიში-ცაგერას შიდა სასოფლო გზის მეორე მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოების.
61. 68040,01 ლარი - საქ. მთავრობის 2023 წლის 20 აიანვრის 116 განკარგულების ნაშთია , სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით.
62. 0,72 ლარი - საქ. მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულების ნაშთია სოფელ წიფერჩის ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა
63. 16927,38 ლარი - საქ. მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულების ნაშთია სოფელ წიფერჩის ორ უბანში რკ/ბეტონის გზის საფარის მოწყობა
64. 4,37 ლარი - საქ. მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულების ნაშთია სოფელ სურმუშის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია პირველი ეტაპი
65. 43861,22 ლარი - საქ. მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულების ნაშთია სოფელ აღვის საავტომობილო გზის რკ/ბეტონის გზის საფარის მოწყობა.
66. 4866,46 ლარი - საქ. მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულების ნაშთია სოფელ ლაჯანაში „კინიშერის“და მახარობლიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია

67. 15680,77 ლარი - საქ. მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულების ნაშთია სოფელ ლასურიაშის რკ/ბეტონის გზის საფარის მოწყობა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების საფუძველია ასევე 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საკუთარი შემოსავლებიდან დარჩენილი ნაშთის განაწილება. ნაშთი 01.01.2026 მდგომარეობით შეადგენდა 573699,04 ლარს, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე:

გაიზარდოს:

- ა(ა)იპ ფრენბურთის გუნდი „ცაგერის“ დაფინასება - 38,0ათ,ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 7244419,68 ლარით და შეადგენს 24606,0 ათ,ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკრებულოს თავმჯდომარე: ვასილ საღინაძე